განკარგულება:**გ-49. 49242685**
თარიღი:**24/09/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ანგარიში 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ანგარიში

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ , რომ , ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში“ 2024 წელს ირიცხება 220 ბენეფიციარი, . მათი კვება ხდება, დღეში ერთხელ, წელიწადში 365 დღე. მათ მომსახურეობას უწევსა(ა)იპ-ის 10 თანამშრომელი.

სათნოების სახლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 458100 ლარს, აქედან 1-2 კვარტალში დაიხარჯა 198890 ლარი .

კვების რაციონს შეადგენს : კვირაში 5 ჯერ ხორცის კერძი , წვნიანები ,

წიწიბურას, ბრინჯის და ვერმიშელის ფაფები, კვერცხი , ლობიო, მაკარონი , ყველი.

300 გრამიპური ,ერთ ბენეფიციარზე და ხილის კომპოტი.

2024 წელს ერთ ბენეფიციარზე დღეში იხარჯება 3,16 ლარი.

წარმატებით მუშაობს,,„შინმოვლის“ პროგრამა რითაც გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ ბენეფიციარებისათვის სახლში მიგვაქვს საკვები, ასეთი გვყავს 20 ბენეფიციარი. ყოველდღიურად ვაწვდით საკვებს და სხვა სერვისებს .

აღდგომის დრესასწაულზე გავეცით სადღესასწაულო საჩუქრები.

ასევე თითოეულ ჩვენს ბენეფიციარს აღდგომის დღესასწაულზე მერიისაგან ჩაერიცხათ 100-100 ლარი.

2024 წლის 1-2 კვარტალის ხარჯი ასეთია:

შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა - 63066 ლარი

კომუნალურ ხარჯებში -2405 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯი -909 ლარი

სხვადასხვა ხრჯებში(რეცხვა ქიმწმენდა , ტენდერის ხარჯი, საქმისწარმოება, დეზინფექცია და ა. შ.) – 4996 ლარი

დაცვის ხარჯი- 400 ლარი

მივლინება- 1090 ლ

კვება- 115938 ლარი.

ტრანსპორტის ხარჯი (შეკეთება, საწვავი, მოვლა პატრონობა) -10086 ლარი.

სულ 2024 წლის 1-2 კვარტალში დაიხარჯა 198890

სათნოების სახლი მუშაობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.